სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 230

2016 წლის 24 ოქტომბერი

ქ. თბილისი

2016 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „2016 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პროგრამა და პირობების და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 14 ივნისის N121 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პროგრამა და პირობების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის მარიამ ქებურიას 2016 წლის 24 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის (N1409726) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2016 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

დანართი

დამტკიცებულია

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო

ფონდის გენერალური დირექტორის

2016 წლის 24 ნოემბრის N230 ბრძანებით

N	შიფრი	სახელი, გვარი	დარღვევის ფორმა
1	TUB-2016-006	ნინო კაპანაძე	განმცხადებლის მიერ ფონდის კანცელარიაში არ არის წარმოადგენილი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი N2 ქართულ ენაზე) დადგენილ ვადებში.
2	TUB-2016-009	არჩილ სუპატაშვილი	განმცხადებელმა საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე გამოაგზავნა დაგვიანებით (25 წუთით გვიან).
3	TUB-2016-010	ბელა კვირკველია	დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. წარმოდგენილი საპროექტო წინადადების ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 60 000 ლარს;
4	TUB-2016-011	ბესიკ დუნდუა	დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. წელიწადში ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 15 000 ლარს;
5	TUB-2016-013	დავით ბარათაშვილი	დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. წელიწადში ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 15 000 ლარს; ინგლისურ ენაზე და ქართულ ენაზე წარმოდგენილი ბიუჯეტები არ შეესაბამება ერთმანეთს. ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ ბიუჯეტის ფორმაში მხოლოდ ჯამური თანხაა გაწერილი და არა - წლების მიხედვით;
6	TUB-2016-014	გულჩინა კუჭავა	ერთობლივი კვლევითი პროექტის თურქეთის მეცნიერთა ჯგუფმა TUBITAK-ში არ წარადგინა საკონკურსო განაცხადი.
7	TUB-2016-015	მაია მანწკავა	ერთობლივი კვლევითი პროექტის თურქეთის მეცნიერთა ჯგუფმა TUBITAK-ში არ წარადგინა საკონკურსო განაცხადი.
8	TUB-2016-020	ნინა ჭანიშვილი	დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №55/ნ ბრძანებით დამტკიცებული „თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების“ მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტი

			(საკონკურსოდ წარდგენილი ერთობლივი კვლევითი პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი ორწლიანი დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 30000 ლარს, ხოლო წლიური თანხა-15000 ლარს),
9	TUB-2016-021	ნონა ჩხაიძე	დარღვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი. წელიწადში ფონდიდან მოთხოვნილი თანხა აღემატება 15 000 ლარს;
10	TUB-2016-022	რამაზ გახოკიძე	კონკურსის პირობების მიხედვით გათვალისწინებული არცერთი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი სრული სახით;